

# მედალ გოლდი

**მოქმედი ნივთიერება:** ლამბდა ციპალოთრინი  
106 გ/ლ + თიამეთოქსამი 141 გ/ლ

მდელოს  
ბაღლინჯო



ქერის  
ბუგრი



პურის დიდი  
ხოჭო



სათბურის  
ფრთათეთრა

ნეიროტოქსიური ინსექტიციდი მედალ გოლდი გამოიყენება ეკონომიკურად მნიშვნელოვანი, ფართო სპექტრის მქონე მწუნნი და ქერცლფრთიანი მავნებლების კონტროლისთვის: ქერი, ხორბალი, შრვრია, ბოსტნეულის, სიმინდის კულტურებზე. მედალ გოლდში კომბინირებულია პირეტროიდის (ლამბდა-ციპალოთრინი) და ნეონიკოტინოიდურის (თიამეთოქსამი) ინსექტიციდური მახასიათებლები.

## მედალ გოლდის თვისებები?

- ✔ პრეპარატს ახასიათებს ფართო სპექტრის მოქმედება მრავალ მავნებელზე;
- ✔ სხვა ინსექტიციდებისგან განსხვავებით ეფექტურად მუშაობს მაღალ და დაბალ ტემპერატურაზე;
- ✔ სისტემური ნივთიერება შედის მცენარეში, სადაც გროვდება ზრდის წერტილებში და მის გრძელვადიან დაცვას უზრუნველყოფს;
- ✔ პრეპარატის მაღალი ხსნადობის გამო, იგი შეიწოვება მცენარის ფესვთა სისტემის მიერ და ამით უზრუნველყოფს დამატებით ეფექტს-დაცვას ნიადაგის მავნებლებისგან;

რა განაპირობებს პრეპარატის უნიკალურობას?

პრეპარატის უნიკალურ მოქმედებას განაპირობებს მოქმედი ნივთიერებების თვისებები. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ლამბდა ციპლოტრინი მაღალი აქტივობით გამოირჩევა და სხვა პირეტროიდებთან შედარებით ანადგურებს მავნებლების ფართო სპექტრს. ინსექტიციდი სწრაფად ხვდება მავნებელში და ასტიმულირებს იმპულსების გადინება ობიექტის ნერვულ ქსოვილებში. ეს ინვევს ნერვული სისტემის გადაჭარბებულ სტიმულაციას და კუნთების აქტივობაზე კონტროლის დაკარგვას. დებორინტაციის შემდგომ ხდება მწერის დამბლა და სიკვდილი.

**თიამეთოქსამი** მოქმედებს კვების პროცესზე პასუხისმგებელი მავნებლების ნერვულ სისტემაზე. პრეპარატთან კონტაქტის შემდგომ, რამოდენიმე წუთში, მწერები წყვეტენ კვებას. პრეპარატი ტემპერატურის ფართო დიაპაზონში გამოიყენება. მაღალი სისტემური ხსნადობის გამო თიამეთოქსამი სწრაფად შეიწოვება მცენარეში, გროვდება ახალგაზრდა ყლორტებში და დიდხანს ინახება. პრეპარატი მდგრადია მზის ხივების მიმართ. ნივთიერების ნაწილი შეიწოვება მცენარის ფესვთა სისტემაში, რაც უზრუნველყოფს დამატებით ეფექტს ნიადაგის მავნებლებზე.



კულტურა	მავნებელი	ხარჯვის ნორმა მლ/ჰა	შესხურების რაოდენობა	დღეები
ხორბალი	ბაღლინჯოები-მდელოს ბაღლინჯო ( <i>Lugus pratensis</i> ), მავნე კუსებურა ( <i>Eury-gaster integriceps</i> ), ჭიჭინობელები ( <i>Oulema melapus</i> ), ბუგრები - მარცვლოვანთა ჩვეულებრივი ბუგრი ( <i>Schzaphis gramina</i> ), ბუბები - მწვანე თვალა ბუზი ( <i>Chlorops pum-ilionis</i> ), ჰესენის ბუზი ( <i>Mayetiola destructor</i> ), მერომიზა ( <i>Meromyza saltatrix</i> ), თრიფსები- ხორბლის თრიფსი ( <i>Haplothrips tritici</i> ), რწყილები ( <i>Chaetocnema hortensis</i> , <i>Chaetocnema ordula</i> , <i>Phyllotreta vittula</i> )	100-200	500-700	40
ქერი	ბუგრები - ქერის ბუგრი ( <i>Brachycolus noxius</i> ), ბუბები-მწვანე თვალა ბუზი ( <i>Chlorops pumilionis</i> ), ჰესენის ბუზი ( <i>Mayetiola destructor</i> ), მერომიზა ( <i>Meromyza saltatrix</i> ), ბაღლინჯოები - მდელოს ბაღლინჯო ( <i>Lugus pratensis</i> ), პურის დიდი ხოჭო ( <i>Anisoplia austrica</i> )	100-200	500-700	40
შვრია	პურის ხოჭოები - პურის დიდი ხოჭო ( <i>Anisoplia austrica</i> )	100-200	500-700	40
ბოსტნეული	ბუგრები - ბაღის ბუგრი ( <i>Aphis gossipi</i> ), სათბურის ფრთათეთრა ( <i>Trialeurodes vaporariorum</i> ), თრიფსები- პომიდვრის თრიფსი ( <i>Frankliniella schultzei</i> ), პომიდვრის სამსხრეთ ამერიკული მენალმე ჩრჩილი ( <i>Tuta absoluta</i> ), ხვატარი-შემოდგომის ნათესების ხვატარი ( <i>Scotia segetum</i> )	100-200	500-700	14
სიმინდი	ბუგრები - სიმინდის ბუნჯიანი ბუგრი ( <i>Rungisia maydis</i> )	200	500-700	40